ხელშეკრულება N 47

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი "20" ივნისი" 2018 წ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TRESGE22, საიდ. კოდი-205350699), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის **ალექსანდრე ონოფრიშვილის** სახით და

მიმწოდებელი: სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო", საიდენტიფიკაციო კოდი: 204 478 948

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. ტელ: 251 77 99

დირექტორი: დავით გიორგობიანი

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: **TBCBGE22** ანგარიში: **GE15TB 1100 0001 1046 7697**

ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მუხლის მე–3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ჰიუნდაის მარკის (არაუმეტეს 5 წლის წლოვანების) ა/სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა თანმდევი სათადარიგო ნაწილებით დანართი N1-ის (პრეისკურანტის) შესაბამისად.
(CPV 50100000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **5 000 (ხუთი ათასი) ლარს.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.4 **დაფინანსების წყარო 2018 წლის ბიუჯეტი.**

4. ხელშეკრულების არსებითი პირობები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2 შემსყიდველის ავტომანქანის მომსახურებას მიანიჭოს პრიორიტეტი, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურებას.
4.3 მომსახურების გაწევის ადგილი ქ. თბილისი
4.4 შემსყიდველის მიმართვისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა ჩაატაროს ავტომობილების დათვალიერება და წარუდგინოს შესმყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად, რომელშიც აღნიშნული იქნება მომსახურების გაწევის მექნიკური დაზიანების შემთვევაში ვადა 2 (ორი) სამუშაო დღე, საშუალო სირთულის რემონტი 5 (ხუთი) სამუშაო დღე, აგრეგატულ ნაწილებზე 10 (ათი) სამუშაო დღე, სათუნუქე- სამღებრო სამუშაოები 10 (ათი) სამუშაო დღე, ხოლო დეფიციტური სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა - არაუმეტეს 30(ოცდაათი) კალენდარული დღე;
4.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულების მომედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

6. მომსახურების გაწევის პირობები და ხარისხი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი N1-ით (პრეისკურანტი) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
6.2 მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს, მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

7.უხარისხოს გაწეული მომსახურება

7.1 მიმწოდებელის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების წუნის გამოსწორება და შეუსაბამოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი). კერძოდ, **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური** შესაბამისი **უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**
8.2 ინსპექტირების ჯგუფი გაწეული მომსახურების ინსპექტირებას ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ.
8.3 კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით- მომსახეურების გაწევის პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.4 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.
8.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 გაწეული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
9.2 მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მომსახურების დასრულებიდან არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.
9.3 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება უხარისხო (წუნდებული) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო მომსახურების გაწევა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბრების აქტი არ ფორმდება.
9.4 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ი - კერძოდ, **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის** შესაბამისი **უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**
9.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10. ანგარიშსწორება

10.1 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

10.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

10.3 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;

10.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით. საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, თუ გადახდის დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, ანაზღაურება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10.5 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4 ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.5 ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების გათვალისიწნებით.

11.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების ამ მუხლში.

12.3 თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პირობებს ვერ შეასრულებს (შესრულების ვადა, ხარისხი) ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების ან **7.2** პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

12.4 თუ კი ხელშეკრულების **12.3. „ბ"** პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის ფარგლებში პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 % და იგი ვერ განახორციელებს მომსახურების გაწევას, და/ან არ გამოასწორებს აღმოჩენილ ხარვეზს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

12.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.6 ამ მუხლის **12.5.** პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13 ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

15 სხვა დებულებები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

15.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქN7 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ - 205350699	სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო", მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. საბანკო რეკვიზიტები: ა/ნ № GE 15TB 1100 0001 1046 7697 სს „ თიბისი ბანკი" ბ/კ TBCBGE22 ს/კ: 204 478 948
სამსახურის უფროსის მოადგილე	სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" -ს დირექტორი
ალექსანდრე ონოფრიშვილი	დავით გიორგობიანი

დანართი N1
პრეისკურანტი

ჰიუნდაი ელანტრა 1.6 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი) 2014 წლის მოდელი					
N	სათადარიგო ნაწილის/მომსახურების დასახელება	განზომილება	ერთეულის ღირებულება ლარი	მომსახურების ღირებულება ლარი	საგარანტიო ვადა/პირობა
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	240,00	15,00	15,000 კმ
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	180,00	15,00	30,000 კმ
3	ხელის მუხრუჭის ბაგირი	ცალი	150,00	40,00	3 - თვე
4	წინა ამორტიზატორი	ცალი	335,00	40,00	3 - თვე
5	უკანა ამორტიზატორი	ცალი	280,00	25,00	3 - თვე
6	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	110,00	25,00	3 - თვე
7	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	70,00	30,00	3 - თვე
8	წინა ამორტიზატორის ზამბარა	ცალი	160,00	30,00	3 - თვე
9	უკანა ამორტიზატორის ზამბარა	ცალი	170,00	25,00	3 - თვე
10	წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	70,00	30,00	3 - თვე
11	წინა ამორტიზატორის საკისარი	ცალი	92,00	35,00	3 - თვე
12	ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	18,00	30,00	3 - თვე
13	საჭის ღერძი	ცალი	1192,00	150,00	3 - თვე
14	საჭის ღერძის შტურვალი	ცალი	445,00	50,00	3 - თვე
15	საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკრესნიკი)	ცალი	85,00	15,00	3 - თვე
16	საჭის ღერძის წვეა (უდარნი ტიაგა)	ცალი	95,00	15,00	3 - თვე
17	წინა დაკიდების ბერკეტი (კიცარა)	ცალი	405,00	30,00	3 - თვე
18	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	55,00	30,00	3 - თვე
19	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	50,00	30,00	3 - თვე
20	ბურთულოვანი სახსარი (შარავოი)	ცალი	60,00	40,00	3 - თვე
21	წინა სამუხრუჭე დისკო	ცალი	270,00	20,00	3 - თვე
22	უკანა სამუხრუჭე დისკო	ცალი	330,00	35,00	3 - თვე
23	წინა მორგვის საკისარი	ცალი	190,00	40,00	3 - თვე
24	წინა მორგვი	ცალი	315,00	40,00	3 - თვე
25	უკანა მორგვი საკისარით	ცალი	470,00	40,00	3 - თვე
26	მორგვის ჭანჭიკი (ბოლტი)	ცალი	6,00	40,00	3 - თვე
27	საბურავის სამაგრი ქანი (გაიკა)	ცალი	6,00	5,00	3 - თვე
28	ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა)	კომპლექტი	1060,00	40,00	3 - თვე
29	ყუმბარა გარეთა	ცალი	502,00	40,00	3 - თვე
30	ყუმბარა შიდა	ცალი	475,00	50,00	3 - თვე
31	გარეთა ყუმბარის სამტვერული	ცალი	105,00	40,00	3 - თვე
32	შიგნითა ყუმბარის სამტვერული	ცალი	100,00	50,00	3 - თვე
33	გადაბმულობის ქურო	ცალი	180,00	250,00	3 - თვე
34	გადაბმულობის დისკო	ცალი	240,00	250,00	3 - თვე
35	გადაბმულობის საკისარი	ცალი	115,00	250,00	3 - თვე
36	გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრის (პოდკორობინინი)	ცალი	245,00	30,00	3 - თვე
37	ძრავის ქვედა სამაგრის (პოდმოტორნი)	ცალი	304,00	40,00	3 - თვე
38	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	12,00	15,00	3 - თვე
39	მშრალი ამორტიზატორის მჭიდი	ცალი	7,00	10,00	3 - თვე
40	წინა ღერო (სტერჟინი)	ცალი	80,00	15,00	3 - თვე
41	ABS-ს მოდული	ცალი	2987,00	150,00	3 - თვე

42	ABS -ს დაჩიკი	ცალი	220,00	20,00	3 - თვე
43	შკანა ძელის მილისა	ცალი	45,00	30,00	3 - თვე
44	ჰაერის ფილტრი	ცალი	40,00	0,00	20,000 კმ
45	ზეთის ფილტრი	ცალი	20,00	0,00	10,000 კმ
46	საწვავის ფილტრი	ცალი	100,00	50,00	30,000 კმ
47	კონდეციონერის (სალონის) ფილტრი	ცალი	80,00	10,00	30,000 კმ
48	საწვავის ტუმბო	ცალი	445,00	50,00	3 - თვე
49	წყლის ტუმბო	ცალი	270,00	105,00	3 - თვე
50	თერმოსტატი	ცალი	42,00	30,00	3 - თვე
51	გენერატორი	ცალი	1314,00	60,00	3 - თვე
52	გენერატორის დიოდი	ცალი	157,00	70,00	3 - თვე
53	დამმუხტველი რელე	ცალი	200,00	80,00	3 - თვე
54	ამძრავი (სტარტერი)	ცალი	680,00	50,00	3 - თვე
55	ამძრავის ჩოთქი	ცალი	95,00	70,00	3 - თვე
56	ამძრავის ღუნა (იაკორი)	ცალი	214,00	70,00	3 - თვე
57	ამძრავის კბილანა (ბენდექსი)	ცალი	116,00	70,00	3 - თვე
58	ამძრავის ავტომატი	ცალი	172,00	70,00	3 - თვე
59	სანთელი	ცალი	25,00	5,00	3 - თვე
60	ელექტრო კოჭა (ბობინა)	ცალი	160,00	20,00	3 - თვე
61	ძრავის ბლოკი	ცალი	185,00	250,00	3 - თვე
62	ძრავის ბლოკის დამჭიმი	ცალი	204,00	250,00	3 - თვე
63	ძრავის ბლოკის მიმმართველი	ცალი	60,00	250,00	3 - თვე
64	დინამოს ღვედი	ცალი	120,00	50,00	3 - თვე
65	დინამოს ღვედის გორგოლაჭი	ცალი	88,00	50,00	3 - თვე
66	საჭის ელექტრო კონტაქტი (შლეიფი)	ცალი	220,00	30,00	3 - თვე
67	საყელური	ცალი	60,00	15,00	3 - თვე
68	საქარე მინის საწმენდი	ცალი	55,00	5,00	3 - თვე
69	პალოდგენის ნათურა	ცალი	55,00	10,00	3 - თვე
70	წინა ფარის ნათურა	ცალი	30,00	5,00	3 - თვე
71	გაბარიტის ნათურა	ცალი	7,00	5,00	3 - თვე
72	შკანა სტოპ ნათურა	ცალი	15,00	5,00	3 - თვე
73	აკუმლატორი	ცალი	215,00	10,00	12 - თვე
74	ძრავის ზეთი (სინთეტიკა)	1 ლიტრი	25,00	–	10,000 კმ
75	მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთი	1 ლიტრი	20,00	–	60,000 კმ
76	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	80,00	–	80,000 კმ
77	ანტიფრიზი	1 ლიტრი	17,00	–	80,000 კმ
78	ყინვაგამძლე სითხე	1 ლიტრი	17,00	–	
79	კონდიციონერის ფრეონი	100 გრ	13,00	–	
80	დროსელის საწმენდი სითხე	1 ბალონი	30,00	–	
81	ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა	კომპლექტი	–	15,00	
82	მექანიკურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა	კომპლექტი	–	20,00	
83	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომპლექტი	–	45,00	
84	ანტიფრიზის შეცვლა	კომპლექტი	–	25,00	
85	კონდიციონერში ფრეონის ჩატუმბვა	კომპლექტი	–	30,00	

86	დროსელის გაწმენდა	კომპლექტი	–	30,00	
87	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	–	15,00	
88	განშლა	კომლექტი	–	40,00	
89	ნახარის გასწორება	კომპლექტი	–	140,00	
90	საჭალი ნაწილების დიაგნოსტიკა	კომპლექტი	–	20,00	
91	კომპიუტერული დიაგნოსტირება	კომპლექტი	–	40,00	
92	საჭის მექანიზმის მოხსნა-დაყენება	ცალი	–	175,00	
93	საჭის მექანიზმის აღდგენა	ცალი	–	175,00	3 - თვე
94	ძრავი ზეთის,საჭეხრეტე სითხის , ანტიფრიზის დამატება		–	უფასო	
95	ფვაკუატორის გამოძახება	თბილისის ფარგლებში		25,00	
96	ფვაკუატორით მომსახურება	1 კმ		2,00	
	ჯამი:		**18 172,00**	**4 742,00**	
	სულ ჯამი:		**22 914,00**		

შემსყიდველი

საგანგებო სიტუაციების
მართვის სამსახური
მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქN7
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ - 205350699

სამსახურის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე ონოფრიშვილი

მიმწოდებელი

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“,
მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ.
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ნ # GE 15TB 1100 0001 1046 7697
სს „ თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22
ს/კ: 204 478 948

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ -ს დირექტორი

დავით გიორგობიანი